

შპს „იმანი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2018

	შენიშვნები	31.დეკ.18	31.დეკ.17	31.დეკ.16
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტი	3	4 298 016	2 312 258	1 669 437
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	833 692	1 622 111	227 097
გადახდილი ავანსები		158 416	139 044	45 485
გრძელვადიანი ინვესტიციები	5	566 220	30 000	37 248
არამატერიალური აქტივები		40 929	39 310	46 251
ძირითადი საშუალებები		54 897	28 192	32 004
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	10 948 824	33 842 067	96
სულ აქტივები		16 900 994	38 012 982	2 057 618
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7	318 734	(241 266)	158 734
გაუნაწილებელი მოგება		4 291 277	2 226 963	(82 033)
არამაკონტროლირებული წილი		269 623	818 695	460 166
სულ კაპიტალი		4 879 634	2 804 392	536 867
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	11 733 408	34 892 836	1 254 624
სხვა ვალდებულებები	9	287 951	315 755	266 127
სულ ვალდებულებები		12 021 360	35 208 591	1 520 751
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16 852 763	38 012 982	2 057 618

შპს „იმანი“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2018

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი	10	11 379 349	7 123 909
საკომისიო ხარჯი	11	(4 674 459)	(2 844 318)
სულ შემოსავალი		6 704 890	4 279 591
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1 894 765)	(1 077 698)
საერთო მოგება		4 810 125	3 201 893
წმინდა საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		89 085	61 449
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(12 631)	77 200
წმინდა მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(1 408)	373 043
სხვა ხარჯი		(34 446)	(27 001)
მოგება დაბეგვრამდე		4 850 725	3 686 584
მოგების გადასახადი		(184 407)	(43 149)
წმინდა მოგება		4 666 318	3 643 435
დამფუძნებლებისთვის:			
მშობელი საწარმო		4 191 249	3 284 906
არამაკონტროლირებელი წილი		475 069	358 530

შპს „იმანი“

კონსოლიდირებული კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2018

	საწესდებო კაპიტალი	არამაკონტროლირებადი წილი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2016	158 734	460 166	(82 033)	536 866
საწესდებო კაპიტალი	(400 000)			(400 000)
პერიოდის შედეგი		358 530	3 284 906	3 643 436
გაცემული დივიდენდი			(975 910)	(975 910)
31.12.2017	(241 266)	818 696	2 226 962	2 804 392
საწესდებო კაპიტალი	560 000			560 000
პერიოდის შედეგი		475 069	4 191 249	4 666 318
გაცემული დივიდენდი			(3 151 075)	(3 151 075)
31.12.2018	318 734	1 293 765	3 267 136	4 879 634

შპს „იმანი“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2018

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4 850 725	3 686 584
მოგება დაბეგვრამდე	15 327	13 600
ცვეთა და ამორტიზაცია		
კორექტირებები:		
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	788 419	(1 395 014)
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	(19 371)	(93 559)
სხვა გრძელვადიანი აქტივები	22 893 243	(33 841 970)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(23 159 427)	33 638 212
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში	(27 804)	49 628
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5 341 112	2 057 480
გადახდილი მოგების გადასახადი	(184 407)	(43 149)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5 156 704	2 014 331
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(42 032)	(9 789)
არამატერიალური აქტივები	(1 619)	6 941
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(43 651)	(2 848)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი ინვესტიციები	(536 220)	7 248
გადახდილი დივიდენდი	(3 151 075)	(975 910)
საწესდებო კაპიტალი	560 000	(400 000)
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	(3 127 295)	(1 368 662)
წმინდა ფულის ზრდა/შემცირება	1 985 758	642 821
ფული და ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში	2 312 258	1 669 437
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	4 298 017	2 312 258

ნ. ყოღბაია

შპს „იმანი ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2018

	შენიშვნები	31.დეკ.18	31.დეკ.17	31.დეკ.16
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტი	3	4 298 016	2 312 258	1 669 437
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	833 692	1 622 111	227 097
გადახდილი ავანსები		158 416	139 044	45 485
გრძელვადიანი ინვესტიციები	5	566 220	30 000	37 248
არამატერიალური აქტივები		40 929	39 310	46 251
ძირითადი საშუალებები		54 897	28 192	32 004
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	10 948 824	33 842 067	96
სულ აქტივები		16 900 994	38 012 982	2 057 618
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7	318 734	(241 266)	158 734
გაუნაწილებელი მოგება		4 291 277	2 226 963	(82 033)
არამაკონტროლირებული წილი		269 623	818 695	460 166
სულ კაპიტალი		4 879 634	2 804 392	536 867
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	11 733 408	34 892 836	1 254 624
სხვა ვალდებულებები	9	287 951	315 755	266 127
სულ ვალდებულებები		12 021 360	35 208 591	1 520 751
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16 852 763	38 012 982	2 057 618

შპს „იმანი“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2018

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი	10	11 379 349	7 123 909
საკომისიო ხარჯი	11	(4 674 459)	(2 844 318)
სულ შემოსავალი		6 704 890	4 279 591
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1 894 765)	(1 077 698)
საერთო მოგება		4 810 125	3 201 893
წმინდა საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		89 085	61 449
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(12 631)	77 200
წმინდა მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(1 408)	373 043
სხვა ხარჯი		(34 446)	(27 001)
მოგება დაბეგვრამდე		4 850 725	3 686 584
მოგების გადასახადი		(184 407)	(43 149)
წმინდა მოგება		4 666 318	3 643 435
დამფუძნებლებისთვის:			
მშობელი საწარმო		4 191 249	3 284 906
არამაკონტროლირებელი წილი		475 069	358 530

შპს „იმანი“

კონსოლიდირებული კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2018

	საწესდებო კაპიტალი	არამაკონტროლირებადი წილი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2016	158 734	460 166	(82 033)	536 866
საწესდებო კაპიტალი	(400 000)			(400 000)
პერიოდის შედეგი		358 530	3 284 906	3 643 436
გაცემული დივიდენდი			(975 910)	(975 910)
31.12.2017	(241 266)	818 696	2 226 962	2 804 392
საწესდებო კაპიტალი	560 000			560 000
პერიოდის შედეგი		475 069	4 191 249	4 666 318
გაცემული დივიდენდი			(3 151 075)	(3 151 075)
31.12.2018	318 734	1 293 765	3 267 136	4 879 634

შპს „იმანი“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2018

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	4 850 725	3 686 584
ცვეთა და ამორტიზაცია	15 327	13 600
კორექტირებები:		
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	788 419	(1 395 014)
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	(19 371)	(93 559)
სხვა გრძელვადიანი აქტივები	22 893 243	(33 841 970)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(23 159 427)	33 638 212
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში	(27 804)	49 628
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5 341 112	2 057 480
გადახდილი მოგების გადასახადი	(184 407)	(43 149)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5 156 704	2 014 331
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(42 032)	(9 789)
არამატერიალური აქტივები	(1 619)	6 941
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(43 651)	(2 848)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი ინვესტიციები	(536 220)	7 248
გადახდილი დივიდენდი	(3 151 075)	(975 910)
საწესდებო კაპიტალი	560 000	(400 000)
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	(3 127 295)	(1 368 662)
წმინდა ფულის ზრდა/შემცირება	1 985 758	642 821
ფული და ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში	2 312 258	1 669 437
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	4 298 017	2 312 258

შპს „იმანი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

31 დეკემბერი, 2018

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

იმანი („ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მარეგისტრირებელი ორგანო არის საჯარო რეესტრი (ს/კ 204557540).

შპს „იმანი“ არის პირველი და უმსხვილესი ქართული მულტისავალუტო ელექტრონული საფულე, რომლის გამოყენებაც მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან არის შესაძლებელი.

შპს იმანის შვილობილი კომპანიაა სს იმანი ჯორჯია (ს/კ: 202376026), რომლის 100% წილის მფლობელია.

კომპანიის დირექტორები არიან:

ნიკა ყოლბაია
თენგიზ ლაშვი

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

დასახელება	საციცოცხლო ვადა
ოფისის ინვენტარი	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

კალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე. მათი სასარგებლო მომსახურების ვადა ვადა არის 10 წელი.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის ამკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს გაყიდვებსა და მომსახურებებს გარე მომხმარებლისთვის (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი აღიარდება შემოსავლად მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფი შეასრულებს პირობით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ

ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

კონსოლიდირების აღრიცხვა

(i) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი „ჯგუფს“ გადაეცემა.

„ჯგუფი“ გულისხმობს შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც „ჯგუფი“ გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

ნებისმიერი პირობითი კომპენსაციის აღიარება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის. თუ პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი, მისი ხელახლა შეფასება არ ხდება და გადახდა აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვაგვარად, სხვა პირობითი გადახდა გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით, ყოველ ანგარიშგების თარიღში და შემდგომი ცვლილებები პირობითი კომპენსაციის სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

(ii) არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილის შეფასება ხდება წილის მყიდველის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით შესყიდვის თარიღით.

შვილობილ კომპანიაში „ჯგუფის“ წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება წილობრივი მონაწილეობის გარიგების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად ერთეულებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს ერთეულს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, კონტროლის მოპოვების მომენტიდან მისი დაკარგვის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელი წილის ზარალი მიკუთვნებულია არამაკონტროლებად წილზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით ბალანსს.

(iv) კონტროლის დაკარგვა

კონტროლის დაკარგვისას, „ჯგუფი“ წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას. კონტროლის დაკარგვით გამოწვეული ნებისმიერი ზედმეტობა ან ნაკლებობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ „ჯგუფი“ შეინარჩუნებს რაიმე სახის წილს შვილობილ კომპანიაში, ამგვარი წილი სამართლიანი ღირებულებით შეფასდება კონტროლის დაკარგვის დღეს. შემდეგ ის აღიარდება როგორც ინვესტიცია მეკავშირე კომპანიებში, ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივი, შენარჩუნებული გავლენის დონიდან გამომდინარე.

(v) ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

„ჯგუფის“ ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში მოიცავს წილს მეკავშირე კომპანიებსა ან ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე კომპანია წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელზეც „ჯგუფს“ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ არ აკონტროლებს და არც ერთობლივად აკონტროლებს მას ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკების შესაბამისად. მნიშვნელოვანი გავლენა გულისხმობს „ჯგუფის“ მიერ სხვა საწარმოში 20%-დან 50%-მდე ხმის უფლების ფლობას. ერთობლივი საწარმო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელსაც

„ჯგუფი“ ერთობლივად აკონტროლებს და მას აქვს უფლება მის წმინდა აქტივებზე და არა მის აქტივებსა და ვალდებულებებზე.

წილი მეკავშირე კომპანიასა და ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებში „ჯგუფის“ მოგებ-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის წილს, მათ „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი ამ უკანასკნელების დასრულებამდე.

როდესაც „ჯგუფის“ ზარალის წილი აღემატება მის წილს მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებში, ამგვარი ინტერესის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერ გრძელვადიან ინვესტიციასთან ერთად, ნულამდე შემცირდება, ხოლო შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც „ჯგუფს“ ექნება ვალდებულება ან როდესაც ის განახორციელებს გადახდას ინვესტიციის მიმღების სახელზე.

(vi) კონსოლიდირებისას გამორიცხული ოპერაციები

შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე შიდაჯგუფური ოპერაციებიდან წარმოშობილი ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი ელიმინირდება. შიდაჯგუფური მოგება, რომელიც წარმოიშვება მეკავშირე კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების ოპერაციებიდან, გამოირიცხება ინვესტიციების მიხედვით, „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად. შიდაჯგუფური ზარალი გამოირიცხება იგივე ფორმით, როგორც შიდაჯგუფური მოგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს გაუფასურების მტკიცებულება.